საექსპერტო დასკვნა

მცხეთაში, ზაჰესი, ქუჩა კეცხოველის N32, ქალაქი თბილისი, დაბა ზაჰესი, კასკადისა და წინამძღვრიშვილის გადაკვეთაზე, N 01.72.12.118.009 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ავტოსალონის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტიზის თარიღი	19.10.2026

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
2. პირობითი აღნიშვნები;
3. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
4. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(არქიტექტურული ნაწილი)*;
5. დასაგეგმარებელი შენობის ფასადები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
6. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
7. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი)*;
8. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
9. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
10. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(მისაწვდომობის ნაწილი)*;
11. ფასადისა და სახურავის დეტალიზაციები;
12. გზა-კიბეების დეტალიზაციები;
13. ლიფტების დეტალიზაცია;
14. მისაწვდომობის დეტალიზაციები.

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3

ატრიუმის შეფასება ---------- 4

ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობის შეფასება ---------- 5

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 6

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 7

გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 8

მისაწვდომობის შეფასება ---------- 9

შიგა გარემოს შეფასება ---------- 10

გარე კედლების შეფასება ---------- 11

სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება ---------- 12

წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 13

ლიფტის შეფასება ---------- 14

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მცხეთაში, ზაჰესი, ქუჩა კეცხოველის N32, ქალაქი თბილისი, დაბა ზაჰესი, კასკადისა და წინამძღვრიშვილის გადაკვეთაზე, N01.72.12.118.009 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

საპროექტო მიწის ნაკვეთი განთავსებულია სწორ რელიეფზე. მას საზოგადოებრივი საზღვარი ემიჯნება სამხრეთით - გიორგი მაყაშვილის ქუჩის მხრიდან.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია ავტოსალონის შენობის მშენებლობა. ვინაიდან წარმოდგენილი ობიექტი განკუთვნილია კერძო საკუთრებაში არსებული საკოლექციო ავტომობილების განთავსებისა და ექსპონირებისათვის, არ არის გათვალისწინებული ფართო საზოგადოებისათვის მისაწვდომად და სივრცეში მუდმივად იმუშავებს მხოლოდ მცირე რაოდენობის პერსონალი, პროექტის განხილვისას ობიექტი ჩაითვლება **კერძო გამოყენების შემოზღუდულ ავტომობილთა სადგომად / ავტომობილების შესანახ სივრცედ**. შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტზე არ გავრცელდება ის დაგეგმარებითი პარამეტრები, რომლებიც, როგორც წესი, განკუთვნილია საერთო ან საზოგადოებრივი სარგებლობის ავტოსადგომებისათვის, მათ შორის ავტომობილის თითოეული სადგომი ადგილის სტანდარტული ზომები, შიდა სამანქანო გასასვლელების ტიპური სიგანეები, მანევრირების ზონების სტანდარტული გეომეტრია და სხვა ანალოგიური დაგეგმარებითი მოთხოვნები.

ამასთან, პროექტში სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია შენობის ფუნქციურ კლასიფიკაციასთან, სიცოცხლის უსაფრთხოებასთან, ევაკუაციასთან, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვასთან, კონსტრუქციულ უსაფრთხოებასთან და მისაწვდომობასთან, იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ისინი მოცემული გამოყენებისათვის სავალდებულოა.

საპროექტო ავტოსალონის შენობა შედგება ორი სართულისაგან:

- მიწის დონის ზედა I სართული (0.00 ნიშნული) - ავტოსალონი, საწყობი, ტუალეტის ოთახი და დამლაგებლის ოთახი;
- მიწის დონის ზედა II სართული (+5.10 ნიშნული) - ავტოსალონი, დაცვის ოთახი.

ასევე ტერიტორიაზე განთავსებულია სახანძრო ტუმბოსა და სახანძრო წყლის ავზისათვის განკუთვნილი ტექნიკური შენობა. მათ სიახლოვეს გარე ტიპის გენერატორით.

საპროექტო შენობების კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 2 საათით, სხვადასხვა ანაწყობებთან მიმართებაში კი დაცულია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, რომელთა შესახებ დეტალური ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-6 თავში.

საპროექტო შენობა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებითაა აღჭურვილი. თითოეული ასეთი სისტემის მიმართ ანალიზი მოცემულია დასკვნის მე-7 თავში.

საპროექტო ავტოსერვისის შენობის ფასადები შეიმინება ალუმინის ფასადის სისტემით, რომლის ზედაპირიც ნაწილობრივ შეიფუთება ჟალუზის სისტემით. ფასადისა და სახურავის ანაწყობების თაობაზე შეფასება მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-11 და მე-12 თავებში.

1 გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.

- შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:

  - **საქმიანი ჯგუფი სქ:** კერძო კოლექციის ავტომობილების საგამოფენო დარბაზები 0.00 და +5.10 ნიშნულებზე; დაცვის ოთახი +5.10 ნიშნულზე - შეესაბამება 304 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, რომლებიც გამოიყენება ავტომობილების საგამოფენო დარბაზებისთვის და საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

  - **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1:** სასაწყობე ოთახი 0.00 ნიშნულზე - შეესაბამება 311.2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საშუალო საფრთხის შემცველი მასალების დასასაწყობებლად გამოყენებული სივრცეები.

  - **საშუალო საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-1:** ტექნიკური სივრცეები ცალკემდგომი დამხმარე/ტექნიკური შენობის სახით - რაც მეტნაკლებად შეესაბამება 306.2 ქვეთავს, საწარმოო პროცესებიდან გამომდინარე.

- თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:

  - ავტომობილების საგამოფენო/სადგომი დარბაზებისთვის ---------- 18.6 მთლიანი;
  - დაცვის ოთახისათვის ---------- 9.3 მთლიანი;
  - დამხმარე/სასაწყობე სივრცეებისთვის ----------46.5 მთლიანი.
  - ტექნიკური სივრცეებისთვის ---------- 27,9 მთლიანი;

- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2 შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- საპროექტო შენობა შედგება ორი მიწის დონის ზედა სართულისაგან. შენობის სიმაღლე გრუნტის ყველაზე დაბალი დონიდან უტოლდება 11.66 მეტრს. შენობაში გათვალისწინებულია სქ და სწ-1 ჯგუფის დაკავებულობები. ცალკემდგომ ერთსართულიან ნაგებობაში განთავსებულია მხოლოდ სმ-1 ჯგუფის დაკავებულობა.

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპად განსაზღვრულია I-B კონსტრუქციის კატეგორია.

- ზემოაღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის მიხედვით.

3 კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი (I-B) შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. რაც შეეხება შენობის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხებს, ცეცხლმედეგობისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად *(შენობის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, გარე და შიგა მზიდი კედლები, იატაკის და სახურავის კონსტრუქცია და არამძირითადი ნაწილები - უნდა გააჩნდეს, სულ მცირე 2 საათიანი ცეცხლმედეგობა).* არქიტექტურული პროექტის ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში ასახულია ასეთი კონსტრუქციული ელემენტების მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხისხებთან მიმართებაში შესაბამისობა, თუმცა კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობების ხარისხი ასევე უნდა დაზუსტდეს კონსტრუქციულ პროექტში „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს 721 და 722 ქვეთავების მიხედვით.

- გარე არამზიდი კედლები შენობის მხოლოდ მცირე მონაკვეთებშია განთავსებული, ისიც 9,0 მეტრზე ნაკლები, თუმცა 3,0 მეტრზე მეტი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილით, შესაბამისად ასეთი კედლებისათვის განისაზღვრა 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ვალდებულება, თანახმად

602 ცხრილისა. შენობის გარე შემინულ ნაწილებთან მიმართებაში კი მოქმედებს 705.8 ცხრილის მოთხოვნები.

4 ატრიუმისადმი მოთხოვნების შეფასება:

- საპროექტო ავტოსალონის შენობაში განთავსებულია ატრიუმი, რომელიც აკავშირებს +0.00 და +5.10 ნიშნულებს. აღნიშნულის გათვალისწინებით შენობაში დაცულია 404 ქვეთავის მოთხოვნები, კერძოდ:

  - ✓ ავტოსაშხეფი სისტემა დაყენებულია მთელ შენობაში, რაც შეესაბამება 404.3 ქვეთავის მოთხოვნას.

  - ✓ ატრიუმის საზღვრებში, მიუხედავად მისი სართულიანობისა გათვალისწინებელია 907.2.14 ქვეთავთან შესაბამისობა.

  - ✓ კვამლის კონტროლი საჭირო არ არის ატრიუმებში, რომელებიც მხოლოდ ორ სართულს აკავშირებს. თუმცა მიუხედავად აღნიშნული გამონაკლისისა, სტანდარტული ტიპის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაცია შენობაში გათვალისწინებულია.

  - ✓ ატრიუმის სივრცე არაა გამიჯნული მომიჯნავე სივრცეებისაგან, თუმცა შენობის ფართობისა და მოცულობის გათვალისწინებით, საპროექტო შენობა სრულად წარმოადგენს ერთიან სახანძრო ფართობს და ამ ფართობის გათვალისწინებითაა განსაზღვრული შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტულაცია და ხანძარქრობის სისტემები, რაც შეესაბამება 404.6 ქვეთავის მე-3 გამონაკლისის მოთხოვნას.

  - ✓ ატრიუმის საზღვრებში მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 60 მეტრს, თუმცა აღნიშნული მოთხოვნა არ ეხება შენობის იმ სართულების დონეებს, რომელთა დონეებზეც ხორციელდება შენობიდან გასვლა, თანახმად 404.9 ქვეთავისა.

5 ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება:

- წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია ავტოსალონის შენობის მშენებლობა. ვინაიდან წარმოდგენილი ობიექტი განკუთვნილია კერძო საკუთრებაში არსებული საკოლექციო ავტომობილების განთავსებისა და ექსპონირებისათვის, არ არის

გათვალისწინებული ფართო საზოგადოებისათვის მისაწვდომად და სივრცეში მუდმივად იმუშავებს მხოლოდ მცირე რაოდენობის პერსონალი, პროექტის განხილვისას ობიექტი ჩაითვლება **კერძო გამოყენების შემოზღუდულ ავტომობილთა სადგომად / ავტომობილების შესანახ სივრცედ**. შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტზე არ გავრცელდება ის დაგეგმარებითი პარამეტრები, რომლებიც, როგორც წესი, განკუთვნილია საერთო ან საზოგადოებრივი სარგებლობის ავტოსადგომებისათვის, მათ შორის ავტომობილის თითოეული სადგომი ადგილის სტანდარტული ზომები, შიდა სამანქანო გასასვლელების ტიპური სიგანეები, მანევრირების ზონების სტანდარტული გეომეტრია და სხვა ანალოგიური დაგეგმარებითი მოთხოვნები.

- წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ავტომობილების გასაჩერებელ და კერძო კოლექციისათვის საგამოფენოდ გამოყენებულ ავტოსადგომ სივრცეებს. სტანდარტული საზოგადოებრივი ავტოსადგომი განთავსებულია გარე სივრცეში.

- გარე, საზოგადოებისათვის მისადგომი ავტოსადგომები განთავსებულია ამავე მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, რაც აკმაყოფილებს 406.9.2.3 ქვეპუნქტის მოთხოვნას.

- საზოგადოებრივ ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომები შეესაბამება 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

- საზოგადოებრივ ავტოსადგომის სივრცეში გათვალისწინებული შშმ პირთათვის გათვლილი ავტომობილის სადგომების რაოდენობა შეესაბამება 1106.1 ცხრილს, ხოლო გაბარიტული ზომები „მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებს“, კერძოდ ავტოსადგომზე გათვალისწინებულია ერთი მიკროავტობუსისთვის განკუთვნილ სივრცე, 1106.5 ქვეთავის მოთხოვნის და „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-თ განსაზღვრული ზომების შესაბამისად.

- საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილი საავტომობილო გზების სიგანე შეესაბამება 406.9.3.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- საზოგადოებრივ ავტოსადგომზე, ავტომობილისათვის განკუთვნილი გასავლელის სიგანე (თითოეული ავტომობილის სადგომისთვის) აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.

- რაც შეეხება ავტოსალონში განთავსებულ ავტოსადგომ სივრცეებს, სადაც დასაწყობებულია ავტომანქანები, აღნიშნულზე არ არის გავრცელებული 406.9.3.1 ქვეთავის მოთხოვნები,

ვინაიდან ასეთ სივრცეებში მომსახურე პერსონალის მიერ ხდება ავტომანქანების დასაწყობება.

- საზოგადოებრივ ავტოსადგომზე, ავტომობილისთვის განკუთვნილ თითოეულ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომები, რაც შეესაბამება 406.9.4.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- საზოგადოებრივ ავტოსადგომზე ავტომობილებისთვის განკუთვნილი ადგილები დახაზულია, თანახმად 406.9.4.6 ქვეთავისა.

6 ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- ვინაიდან მთლიანი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით და ვინაიდან შენობა შედგება მხოლოდ 2 სართულისაგან, შენობის გარე კედლებში არსებული ღიობების შეუღლად გამიჯვნა 705.8.5 ქვეთავის გამონაკლისებით არ მოითხოვება.

- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს. იხილეთ წესების ანალიზი. შემინულ საფასადე არეალებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 6,0 მეტრზე მეტია, ხოლო 15-11 ღერძებში, 3.7 მეტრიანი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის გათვალისწინებით, ფასადზე დასაშვებია ღიობების ფართობის პროცენტულობა არ აჭარბებს 45%-ს.

- ვინაიდან საპროექტო შენობის სახურავის ცეცხლმედეგობა უტოლდება 2 საათს, პარაპეტის ვალდებულება არ წარმოიშობა თანახმად 705.11 ქვეთავის მე-3 გამონაკლისისა.

- გარე გზა-კიბე შენობის შიდა სივრცისაგან არაა გამიჯნული, ვინაიდან შენობა ორსართულიანია, რაც დასაშვებია 1026.6 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისით.

- დაკავებულობები ერთმანეთისაგან არაა გამიჯნული 508.4 ცხრილის მოთხოვნების დაცვით. თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით გამოყენებულია 508.3 ქვეთავის დაშვება, გაუმიჯნავი დაკავებულობების თაობაზე, რომლის მიხედვით გაუმიჯნავი დაკავებულობები ინდივიდუალურად უნდა კლასიფიცირდეს 302.1 ქვეთავის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფილია და წესების მოთხოვნები შენობის თითოეული ნაწილის მიმართ უნდა შესრულდეს იმისდა მიხედვით, თუ რომელ კლასს მიეკუთვნება ამ სივრცის დაკავებულობა. ამასთან, გაუმიჯნავი დაკავებულობების მთელი ფართობისთვის უნდა

გამოიყენებოდეს მე-9 თავში გაუმიჯნავი დაკავებულობებისთვის განსაზღვრული ყველაზე მკაცრი/შემზღუდველი დებულებები. შესაბამისად გაუმიჯნავი დაკავებულობების საკითხი დარეგულირებულია მკაცრად განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებით.

- საპროექტო შენობა ერთ მთლიან ხანძრისაგან დაცულ ფართობადაა განხილული.
- საინჟინრო და ტექნიკური დანადგარებისათვის განკუთვნილი სივრცეების შემომზღუდავი კედლების ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 2 საათით და 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის კარის ანაწყობებით.
- ხანძრის მართვის ცენტრის ვალდებულება საპროექტო შენობაში, მისი არამაღლივი სტატუსიდან გამომდინარე საავალდებულოდ არ განისაზღვრება. თუმცა აღნიშნულის ფუნქციას კისრულობს დაცვის ოთახი, სადაც 24 საათის განმავლობაში მორიგეობენ.

8 ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- ავტოსალონის შენობა სრულად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით. აღნიშნულის ვალდებულება გამომდინარეობს 404.3 ქვეთავზე დაყრდნობით.
- რაც შეეხება ავტოსაშხეფი სისტემის მომსახურე სახანძრო ტუმბოს და წყლის ავზს, ასეთი მექანიკური მოწყობილობების სივრცე განთავსებულია ცალკემდგომ შენობაში, ისეთი ადგილმდებარეობით, რომ სახანძრო ტუმბოსთან შესაძლებელია მარტივი მიდგომა. სახანძრო ტუმბოსათვის განკუთვნილი ოთახი შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ზღუდეებით, ასევე 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის კარის ანაწყობით.
- სახანძრო დანაყოფის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები განთავსებულია დამხმარე ტექნიკური შენობის ფასადზე, სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზის მიმდებარედ, ხოლო სახანძრო ჰიდრანტი განთავსებულია საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.
- <u>ზემოაღნიშნული მოთხოვნები გათვალისწინებული უნდა იყოს საინჟინრო დოკუმენტაციით. ავტოსაშხეფი სისტემა უნდა მოეწყოს NFPA 13-ის მოთხოვნების დაცვით. სახანძრო ტუმბოები, სამართავი და მაკონტროლებელი მოწყობილობები, დაცული და ტესტირებული</u>

უნდა იყოს NFPA 20-ის შესაბამისად. ასევე დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება. ხანძარქრობის სისტემის საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- შენობის სიმაღლიდან გამომდინარე, არ არის დადგენილი გზა-კიბეების საზღვრებში III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების მოწყობის ვალდებულება, თუმცა სავალდებულოდ განისაზღვრა II კლასის სახანძრო მილდგარების მოწყობის საკითხი:

  - II კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმავრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში.

  სახანძრო მილდგარები უნდა მოეწყოს NFPA 14 ის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ასევე დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება. ხანძარქრობის სისტემის საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია მთელ შენობაში, თითოეული სართულის დონეზე, სახანძრო კარადებში, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას. ხელის ცეცხლმაქრები მოეწყოს NFPA 10_ის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმოჩენი სისტემები:

- მთელი საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემით, რაც შეესაბამება 907 ქვეთავის მოთხოვნას.
  სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები განთავსებულია სართულების მომსახურე გასასვლელიდან 1,5 მეტრის საზღვრებში და მათთან მისადგომად არაა საჭირო 60 მეტრზე

მეტი მანძილის გავლა, რაც შეესაბამება 907.4.2.1 ქვეთავს. ასეთი სისტემა ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას. საერთო და საჯარო გამოყენების ფართობზე, დამკავებელთა შეტყობინების სისტემასთან ერთად მოწყობილია მხედველობითი განგაშის მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.5.2.3.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- მთელი საპროექტო შენობა აღჭურვილია კვამლაღმომჩენებით, რომელიც დაყენებულია თითოეული სართულის იატაკის დონეზე, რაც შეესაბამება 907 ქვეთავის მოთხოვნას.

- გასასვლელის კომპონენტები და სახანძრო ტუმბოს სივრცე, განათებულია საავარიო განათების სისტემით, რაც შეესაბამება 1006.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სახანძრო განგაშის სისტემა უნდა დააყენონ დაკავებულობებში, სადაც მდებარეობს კვამლაღმომჩენებით აღჭურვილი ორზე მეტი სართულის დამაკავშირებელი ატრიუმები. სისტემა უნდა აქტიურდებოდეს 907.5 ქვეთავის შესაბამისად. მიუხედავად ატრიუმის სივრცის სართულიანობისა, აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დავალებით გათვალისწინებულია.

- სახანძრო განგაშის სისტემა უნდა დააყენონ NFPA 72-ის შესაბამისად. ელექტროგაყვანილობა უნდა აკმაყოფილებდეს NFPA 70-ისა და NFPA 72-ის მოთხოვნებს. სახანძრო განგაშის სისტემის ძირითადი და დამატებითი ელექტრომომარაგება უნდა განხორციელდეს NFPA 72-ის შესაბამისად. ასევე დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება. ხანძარქრობის სისტემის საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- დიდი მოცულობის შემოზღუდული სივრცე (ატრიუმი) უზრუნველყოფილი უნდა იყოს კვამლის მექანიკური საკონტროლო სისტემით.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კვამლის საკონსტროლო სისტემები უნდა მოეწყოს წესების 909 ქვეთავის მოთხოვნების სრული დაცვით და იმ სტანდარტების მიხედვით, რომელიც გაწერილია 909 ქვეთავში (ასევე დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება). კვამლის საკონტროლო

სისტემების საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.

სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზის დაგეგმარება:

- 915 ქვეთავის მიზნებისათვის გამოვლინდა შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე, რომელიც განისაზღვრება სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის შენობასთან მისასვლელი გზის ყველაზე დაბალი დონიდან შენობის ყველაზე მაღლა მდებარე იატაკის ნიშნულამდე. ასეთი სიმაღლე არ ცდება 10,0 მეტრს.

- სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისათვის განკუთვნილი გზის სიგანე, როგორც არსებულ გზებზე, ისე საპროექტო ნაკვეთის საზღვრებში უტოლდება 6,0 მეტრს. ასეთ გზებზე თავისუფალი და ჩაუხერგავი შვეული სიმაღლე შეუზღუდავია, გზების მოხვევის შიგა რადიუსები უტოლდება 6,0 მეტრს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 915.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- სახანძრო გზის დახრა არ აღემატება 10%-ს, რაც შეესაბამება 915.16 ქვეთავის მოთხოვნას.

- საპროექტო მიწის ნაკვეთზე სახანძრო ტექნიკის გადასაადგილებელ გზებზე ჩიხური მონაკვეთის სიგრძე არ აღემატება 45 მეტრს, რაც გამორიცხავს გზის ბოლოს მოსატრიალებელი სივრცის მოწყობის ვალდებულებას.

- სახანძრო გზა შენობის მთავარი შესასვლელიდან არაუმეტეს 15,0 მეტრის საზღვრებშია, ხოლო სახანძრო ტექნიკის მისადგომი არეალიდან 45 მეტრიანი სახელო შენობის მთელ პერიმეტრზე ვრცელდება, რაც შეესაბამება 915.7 ქვეთავს.

- სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზების საპროექტო გადაწყვეტით განხორციელებული დაგეგმარების პრინციპი უნდა შეთანხმდეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

9 | გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- საპროექტო შენობაში თითოეული სართულისთვის გასასვლელების რაოდენობა აკმაყოფილებს 1021.2 ქვეთავის მოთხოვნებს. მე-2 სართულის დონეს ემსახურება ორი გასასვლელი, გარე გზა-კიბისა და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბის სახით. მიწისპირა სართულზე კი გარეთ გამავალი ოთხი საევაკუაციო კარია მოწყობილი.

- გარე გზა-კიბე აკმაყოფილებს 1026 ქვეთავის მოთხოვნებს. აქვე აღსანიშნავია, რომ გარე გზა-კიბისა და შენობის შიდა ფართების გამიჯვნის ვალდებულება არ წარმოიშობა შენობის სართულიანობის გათვალისწინებით.

- თითოეული სივრცისთვის დაკმაყოფილებულია 1015.1 და 1014.3 ცხრილების მოთხოვნა და თითოეული დაკავებულობის ჯგუფი სარგებლობს შესაბამისი რაოდენობის გასასვლელი საშუალებით დამკავებელთა რაოდენობიდან გამომდინარე.

- ყველა იმ სივრცეში სადაც საჭიროა ერთზე მეტი გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომის მოწყობა, სულ მცირე ორ გასასვლელს შორის დაცულია სივრცის მასიმალური დიაგონალის 1/3-ზე მეტი მანძილი, თანახმად 1015.2.1 ქვეთავის მე-2 გამონაკლისისა.

- გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების მმ გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბის გამტარუნარიანობა ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.10 მეტრის სახით). აგრეთვე, ვინაიდან მთლიანი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, იმისათვის, რომ შენობის მომსახურე გზა-კიბეები მისაწვდომ გასასვლელ საშუალების ნაწილად ჩაითვალოს, გზა-კიბეების თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის 1,2 მ მანძილის დაცვა აუცილებელი არ არის, თანახმად 1007.3 ქვეთავის პირველი გამონაკლისისა, თუმცა აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილ პროექტში მაინც დაკმაყოფილებულია.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული

პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობების მომსახურე თითოეული გასასვლელი სამუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.82 მეტრია.

- გზა-კიბეების საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბეების საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ამასთანავე თითოეულ კიბეზე, თითოეული მარშის საზღვრებში საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა.

- გზა-კიბეების ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები. ასევე კიბეების მიმართულებით გაღებული კარი, კიბის ბაქანს არ ამცირებს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად. რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.

- კიბეების მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.

- კიბეების სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.

- 1009.16 ქვეთავის თანახმად, სახურავზე მიდგომა არ მოეთხოვება მიწის დონიდან ოთხ სართულამდე შენობებს.

- გასასვლელის ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- შენობაში უზრუნველყოფილია საერთო სავალი ბილიკისადმი მოთხოვნები 1014.3 ცხრილის შესაბამისად.

- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, თითოეული სართულისთვის/სივრცისთვის აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.

- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა მისაწვდომ გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

10 მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომობა უზრუნველყოფილია საპროექტო შენობაში.

- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია მისაწვდომი ავტოსადგომიდან შენობის მთავარ შესასვლელემდე და შენობის ყველა მისაწვდომ დონეზე, თანახმად 1104 ქვეთავისა.

- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- საპროექტო შენობის მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- გარე ღია ავტოსადგომზე მოწყობილია შშმ პირისათვის განკუთვნილი პარკინგი, რომლისდამიც დაცულია 1106.5 ქვეთავის მოთხოვნა, მიკროავტობუსის მისაწვდომობის თაობაზე.

- საპროექტო შენობას ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახი, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს. მისაწვდომი ტუალეტის ოთახი დაგეგმარებული მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნათა დაცვით. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლიფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას. თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს გასასვლელთან მისადგომ და გარე გასასვლელის გზა-კიბეებს და მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- გასათვალისწინებელია, რომ თავშესაფრის ფართობები საჭირო არ არის გზა-კიბეებთან შენობებში, რომლებიც მთლიანად 903.3.1.1 ან 903.3.1.2 ქვეთავის მიხედვით დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემითაა აღჭურვილი, თანახმად 1007.3 ქვეთავის მე-2 გამონაკლისისა.
- შშმ პირთათვის განკუთვნილ ლიფტებთან, შენობის ყველა სართულის დონეზე (გარდა შენობის გამოსასვლელი დონეებისა), მოწყობილია ორმხრივი კავშირის სისტემა, რაც შეესაბამება 1007.8 ქვეთავის მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ ორმხრივი კავშირის სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს კავშირს ყველა საჭირო ადგილსა და ცენტრალურ საკონტროლო წერტილს შორის. იქ, სადაც ცენტრალურ საკონტროლო პუნქტში მუდმივად არ მორიგეობენ, ორმხრივი კავშირის სისტემას უნდა ჰქონდეს სინქრონული, ავტომატური ტელეფონის ციფრების დისკო, რომლითაც შესაძლებელია სამეთვალყურეო ადგილთან დაკავშირება ან 112-ზე დარეკვა. ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის საშუალებით დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა გამოკრულია ორმხრივი კავშირის სისტემის მომიჯნავედ.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსებულია მისაწვდომ ტუალეტთან და მისაწვდომ ლიფტთან, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს.
- მისაწვდომი გასასვლელის ნიშანი განთავსებული გასასვლელის მომსახურე ყველა შესაბამის კართან, რაც აკმაყოფილებს 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

11 შიგა გარემოს შეფასება:

- შენობა უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების სისტემით.
- ტუალეტის ოთახები ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გზა-კიბეების საზღვრებში ორივე სართულის დონეზე, გასასვლელთან მისადგომ ბილიკებზე თითოეული სართულის დონეზე, სახანძრო ტუმბოს ოთახში). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ბუნებრივი განიავების და განათების მიზნით მოწყობილი ღიობები გადის ეზოში, რომელიც იმავე საკუთრებაშია, რომელზეც დგას შენობა. ეზოს სიგანე აკმაყოფილებს 1206.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- არცერთი დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.

12 გარე კედლების შეფასება:

- დასავლმარებელი შენობის ნებისმიერ სართულზე გარე კედლებში ნებადართული დაუცველი ღიობების მაქსიმალური ფართობი არ აღემატება 705.8 ცხრილში განსაზღვრულ პროცენტულ მაჩვენებლებს. თანახმად 705.8.3 ქვეთავისა, თუ ნებადართულია დაუცველი ღიობები, ფანჯრები და კარები უნდა აიგოს ნებისმიერი ნებადართული მასალით. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია შემდეგი მახასიათებლების მქონე ფანჯრისა და შემინული კარის ანაწყობები:
    - ✓ შემინვა - ორმაგი თბოსაიზოლაციო მინაპაკეტი;
    - ✓ ჩარჩო - ალუმინი თერმული ხიდით;
    - ✓ U კოეფიციენტი - 1,75

  ზემოაღნიშნულს გარდა გარე კედლებში ჩასმული ფანჯრები და კარები უნდა მოეწყოს მწარმოებლის მითითებების შესაბამისად, თანახმად 1405.13 ქვეთავისა.
- ორთქლშემაკავებლების მოწყობა არაა სავალდებულო, თანახმად 1405.3 ქვეთავისა.
- წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის მიხედვით, შენობის გარე კედლები იღესება და ამასთანავე გარე კედლის ანაწყობი უზრუნველყოფს მაქსიმალური დასაშვები ჯამური თბოგადაცემის კოეფიციენტის $\bar{U}_{MAX}$-ის მნიშვნელობასთან შესაბამისობას, რაც დადგენილია საქართველოს მთავრობის 13.07.2021წ. #354 დადგენილება - „შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნები“-ს ცხრილი #4-ის მიხედვით, კლიმატური ზონა 2-სათვის.

გარე კედელი:

1. *თაბაშირი ფითხი/ბათქაში - 20 მმ;*
2. *მსუბუქი ბეტონის ღრუტანიანი ბლოკი - 40 მმ;*
3. *თბოიზოლაცია - XPS - 50 მმ;*
4. *ცემენტი ფითხი/ბათქაში - 20 მმ;*

- გასათვალისწინებელია, რომ ჰიდროიზოლაცია მოწყობილი უნდა იყოს გარე კედლისა და ფანჯრის ანაწყობების, გარე კედლისა და სახურავის, აივნის გადაკვეთის არეალებში, გარე კედლისა და პარაპეტის შეერთების ადგილებში, თანახმად 1405 ქვეთავის მოთხოვნისა.

13 სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება:

- ხანძრის კლასიფიკაციით კუთხით უნდა დადგინდეს ბურულის კლასიფიკაციის ტიპი 1505.1 ცხრილზე დაურდნობით. დასაგეგმარებელი შენობის კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე, შენობის სახურავის ბურულისათვის საჭიროა B ტიპის კლასიფიკაციის მინიჭება.

- სახურავის ანაწყობი წარმოდგენილი პროექტის მიხედვით შედგება შემდეგი ფენებისაგან და ამასთანავე მოცემული შემადგენლობა უზრუნველყოფს მაქსიმალური დასაშვები ჯამური თბოგადაცემის კოეფიციენტის $Ū_{MAX}$-ის მნიშვნელობასთან შესაბამისობას, რაც დადგენილია საქართველოს მთავრობის 13.07.2021წ. #354 დადგენილება - „შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნები“-ს ცხრილი #4-ის მიხედვით, კლიმატური ზონა 2-სათვის:

სახურავის ანაწყობი:

1. *რკინაბეტონის ფილა - 38 სმ;*
2. *თბოიზოლაცია - XPS- 10 სმ;*
3. *ჰიდროსაიზოლაციო მემბრანა მემბრანა - 2 მმ;*

1508.2 ცხრილი ადგენს სახურავის იზოლაციის მოთხოვნებს სტანდარტების კუთხით. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია, რომ წესების მიხედვით დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება. XPS ფილასთან მიმართებაში დაცული უნდა იყოს სტანდარტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითახ ფილა უნდა შეესაბამებოდეს ASTM C 578 ან

მის ექვივალენტურ სტანდარტს. ამასთანავე ქაფპლასტის იზოლაციის ალის გავრცელების ინდექსი არ უნდა იყოს 75-ზე და კვამლის განვითარების ინდექსი – 450-ზე მეტი, როცა შემოწმებულია მაქსიმალური სისქე, ASTM E 84-ისა და UL 723-ის შესაბამისად.

ცხრილი 1508.2

მასალის სტანდარტები სახურავის იზოლაციისთვის

ცელულოზ-მინის ფილა	ASTM C 552
კომპოზიტური ფილები	ASTM C 1289, ტიპი III, IV, V ან VI
გაფუებული პოლისტირენი	ASTM C 578
ექსტრუდირებული/დაპრესილი პოლისტირენის ფილა	ASTM C 578
მინერალურბოჭკოვანი იზოლაციის ფილა	ASTM C 726
პერლიტის ფილა	ASTM C 728
პოლიიზოციანურიტის ფილა	ASTM C 1289, ტიპი I ან ტიპი II
მერქანბოჭკოვანი ფილა	ASTM C 208

- გასათვალისწინებელია, რომ სამშენებლო მოედანზე მიტანილ თბოიზოლაციის ფილებს მიკრული უნდა ჰქონდეს აღიარებული ეტიკეტი, რომელიც შეიცავს მწარმოებლის სახელს, პროდუქტის კლასს, პროდუქტის ამოსაცნობ ნიშნებსა და სათანადო ინფორმაციას იმისათვის, რომ ის გამოყენებულ იქნას ამ წესების მოთხოვნების შესაბამისად.

14 წყალსადენი სისტემების შეფასება:

